

## განმარტებითი ბარათი

წარმოდგენილი პროექტი მოიცავს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. განძის კულტურის სახლის კაპიტალური რეაბილიტაციას.

პროექტით გათვალისწინებულია კინოთეატრის დარბაზში ხის იატაკის შეცვლა მეტლახის იატაკით, შეკიდული ჭერის შეღებვა, კედლების რეაბილიტაცია-შეღებვა, ახალი განათების მოწყობა და საევაკუაციო ხის კარის შეცვლა მეტალოპლასტმასის კარით.

დარბაზის ჭერის სიმაღლეა 5-6 მეტრი, ამიტომ საჭიროა შესაბამისი სიმაღლის ხარაჩოების მოწყობა სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად.

შეკიდული ჭერის ფოლადის ელემენტები უნდა შეიღებოს ზეთოვანი საღებავით, ხოლო ასბოშიფერის ელემენტები წყალემულსიის საღებავით. უნდა მოხდეს ძველი სანათების და ელგაყვანილობის დემონტაჟი და ახალი სანათების და ელგაყვანილობის მონტაჟი. არსებული 49ცალი სანათის ნაცვლად უნდა მოეწყოს 24ცალი კვადრატული ფორმის შეკიდულ ჭერზე მისამაგრებელი ლუმინესცენტური სანათი. განათების ჩასართავ-გამოსართავად ვეყენებთ 3 პოლუსიან 10ა. სიმძლავრის ავტომატურ ამომრთველს, რომელიც მოთავსებულ უნდა იქნას პლასტმასის ყუთში. სანათების ჭერზე განლაგება და ელ.სქემა მოცემულია შესაბამის ნახაზზე.

კედლებიდან უნდა ჩამოიფხიკოს ძველი საღებავი, შეიფითხნოს 2პირი ფითხით და შეიღებოს იატაკიდან 2.4 მ სიმაღლეზე ზეთოვანი საღებავით, დანარჩენი კედლები შეკიდულ ჭერამდე კი წყალემულსიის საღებავით. ზეთოვანი საღებავით უნდა შეიღებოს სცენის შუბლი, რომელიც არის 0.8მ სიმაღლის.

იატაკის რეაბილიტაციისას უნდა მოხდეს ხის იატაკის დემონტაჟი. იატაკის არსებული ბეტონის მოჭიმვა უნდა შესწორდეს ახალი მოჭიმვით, შემდგომ უნდა მოეწყოს იატაკის მოწყობა მეტლახის ფილებით. ასევე იატაკთან კედელზე 7.5სმ სიმაღლეზე უნდა მოეწყოს პლინტუსი მეტლახით.

ჭერის, კედლების და მეტლახის ფერი უნდა შეთანხმდეს დამკვეთთან.

ჩამოთვლილი სამუშაოების მოცულობები, მოთხოვნილი მასალების რაოდენობა და სამუშაოების შესრულების კალენდარული გრაფიკი მოცემულია პროექტში.